

პარტნიორის მიმართ მიჯაჭვულობა ზრდასრულობაში და მასში მონაწილე
ცვლადები

მარიამ ჩიჩუა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტის კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, ასოცირებული პროფესორი,
მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ჩიჩუა, 30 ივნისი, 2017 წ.

აბსტრაქტი

წარმოდგენილ კვლევაში განხილულია ზრდასრულებში პარტნიორთან მიჯაჭვულობის ორი სხვადასხვა ტიპი - შფოთვითი და განრიდებითი. ასევე, მიჯაჭვულობის ტიპებთან მიმართებაში ნაკვლევია ისეთი ფსიქოლოგიური მახასიათებლები, როგორიცაა ემპათია (თავის მხრივ დაყოფილია ოთხ კომპონენტად: სხვისი პერსპექტივის დანახვის უნარი, ემპათიური გულშემატკივრობა, პიროვნული დისტრესი და ფანტაზია) და მაინდფულნესი - ფსიქოლოგიაში შედარებით ახალი კონცეფტი, რომელიც გულისხმობს შინაგანი და გარემოში მიმდინარე პროცესების ობიექტურ, არა შემფასებლურ აღქმას, „აქ და ამჟამად“ განცდის მდგომარეობას. კვლევა მიზნად ისახავდა ქართველ ზრდასრულ ცდის პირებში (ასაკობრივი შეზღუდვა 20-40 წელი) წარმოდგენილ კონსტრუქტებს შორის კავშირის დადგენას. ცდის პირების შერჩევის მთავარი კრიტერიუმი იყო პარტნიორული ურთიერთობების გამოცდილების არსებობა. კვლევაში გამოვლინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი შედეგი. პირველ რიგში, ნათელი გახდა რომ მიჯაჭვულობის შფოთვითი და განრიდებითი ტიპი მოტივთა სისტემის საფეხურზე ერთმანეთისგან შორს არ დგას (ხშირ შემთხვევაში, ორივეს მამოძრავებელი ძალა მიტოვების შიშია) და შესაბამისად მათ შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დადებითი კორელაცია დაფიქსირდა. გარდა ამისა, დადგინდა, რომ პარტნიორისადმი მიჯაჭვულობის დაუცველი ტენდენციების მქონე პირები მაინდფულნესის სკალაზე დაბალ მაჩვენებელს აგროვებენ. მეტიც, რეგრესიული ანალიზის მეშვეობით ნათელი გახდა, რომ შფოთვითი მიჯაჭვულობის ტიპი დაბალი მაინდფულნესის პრედიქტორია. ასევე, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ განრიდებითი ტიპის მიჯაჭვულობის ინდივიდები დაბალი ემპათიურობით ხასიათდებიან, შფოთვით მიჯაჭვულობასა და ემპათიას შორის კი კავშირი არ დადასტურდა. ასევე კავშირი არ დაფიქსირდა მაინდფულნესსა და ემპათიას,

როგორც მთლიანობით კონსტრუქტებს, შორის, თუმცა გამოვლინდა უარყოფითი კორელაცია მაინდფულნესსა და ემპათიის ერთერთ სკალას, „პიროვნულ დისტრესს“, შორის.

საძიებო სიტყვები: ზრდასრულთა მიჯაჭვულობა, პარტნიორისადმი მიჯაჭვულობა, რომანტიული ურთიერთობები, მიჯაჭვულობის შფოთვითი ტიპი, მიჯაჭვულობის განრიდებითი ტიპი, ემპათია, მაინდფულნესი.